

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

გერმანულ-ქართულმა სისხლის სამართლის ჟურნალმა (DGStZ) უკვე მყარი ადგილი დაიკავა გერმანულ-ქართული სამართლის განვითარების ფარგლებში და ძალიან მოხარულები ვართ, რომ ამჟამად თქვენთან ერთად თანამშრომლობის მექანიზმებს ვაგრძელებთ.

ჟურნალის ეს გამოცემა, ისევე როგორც მისი მომდევნო, 2021 წლის მესამე გამოცემა, განსაკუთრებული მადლიერებით ეძღვნება მის ერთ-ერთ გამომცემელს, პროფესორს, სამართლის დოქტორს, საპატიო დოქტორ ჰაინერ ალვარტს, რომელსაც 2021 წლის 13 სექტემბერს 70 წელი შეუსრულდა და რომელმაც ბოლო წლებში არა მხოლოდ დიდი ძალისხმევა გასწია გერმანულ-ქართული სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის, არამედ ჩვენი ჟურნალის იდეისა და შინაარსის ფორმირებაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. კეთილშობილური ტრადიციების შესაბამისად, როგორც ჟურნალის თანაგამომცემლები, ვიყენებთ ამ სასიხარულო მოვლენას როგორც შესაძლებლობას და გვსურს, DGStZ-ის სპეციალური გამოცემით მას გულითადი მადლობა გადავუხადოთ მისი ერთგულებისა და თავდადებასათვის.

პირველი გერმანულ-ქართული სისხლისსამართლებრივი პროექტის მეშვეობით (2006-2013), ჰაინერ ალვარტმა განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოავლინა გერმანულ-ქართული ურთიერთობებისადმი სისხლის სამართალში და არსებითად გააფართოვა ის. ეს პროექტი იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ჩართულობით განხორციელდა და ფოლკ-სვაგენის ფონდის მიერ გულუხვად დაფინანსდა. ჰაინერ ალვარტი იყო ამ სისხლისსამართლებრივი კვლევისა და სასწავლო პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც მოიცავდა ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებასა და თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე სისხლის სამართლის სწავლებისათვის სასწავლო გეგმის იმპლემენტაციას.

ამ კონტექსტში, მათ შორის, შეიქმნა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო და საიუბილეო კრებული. ეს პროექტი სხვა არაერთი პროექტის თუ თანამშრომლობის საფუძველი გახდა, რომელთაგანაც აღსანიშნავია მეორე გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტი (2016-2021) თემაზე: „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც პრობლემა და როგორც ამოცანა“. ამ პროექტის განხორციელება ჰაინერ ალვარტის ჩართულობითა და ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. ამას გარდა, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ჰაინერ ალვარტი თანამშრომლობდა, როგორც ექსპერტი რეცენზენტი და თავის კათედრაზე თემის ხელმძღვანელობა გაუწია უამრავ ქართველ სტუდენტს, მაგისტრანტს, დოქტორანტსა თუ მონვეულ მეცნიერს. ამ კონტექსტში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 22 მარტს, ჰაინერ ალვარტს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

როცა ჩვენ ავტორები, განსაკუთრებით კი ქართველი ავტორები, გამოვკითხეთ იმის თაობაზე, ჰქონდათ თუ არა ინტერესი, DGStZ-ის ჰაინერ ალვარტისთვის მიძღვნილი სპეციალური გამოცემის შექმნაში მიეღოთ მონაწილეობა, გამოხმაურება იმდენად დიდი იყო, რომ გადავწყვიტეთ, ჟურნალი ორ ნაწილად გამოგვეცა. სტატიები ორ გამოცემაში განაწილდა შემთხვევითობის პრინციპით, მათი თარგმანების მიღების შესაბამისად.

გვსურს, ჩვენი მოკრძალებული ჟესტით მადლობა გადავუხადოთ ჰაინერ ალვარტს მისი დაუღალავი შრომისათვის. ვიმედოვნებთ, რომ თემატურად საინტერესო საკითხები შევავსოვით და ამ გზით გერმანულ-ქართულ სამართლებრივ განვითარებას კიდევ უფრო გავაძლიერებთ.

გამომცემლების სახელით:
მარტინ ჰეგერი, ბერნდ ჰაინრიხი და ედვარდ შრამი